ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №2

სხდომის ჩატარების დრო:

10 დეკემბერი, 2025 წელი;

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია.

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი მ.ნიჟარაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: ა.კოპალეიშვილი და ლ.გვენატაძე, საკრებულოს წევრები: ს.ნერგაძე, მ.ჩიხლაძე, ბ.გვეტაძე, მ.კოსტავა, დ.მხეიძე, ჯ.ბიბილეიშვილი, შ.ჯიშკარიანი, ი.კუჭავა, თ.ბაკურაძე, ლ.ჩიტიძე, ა.გიორგაძე, ა.თამაზაშვილი, მ.გიორგაძე, ბ.ჩეჩელაშვილი, ს.სარალიძე, კ.ფხაკაძე, გ.იობაშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

სულ: 25 წევრიდან - 23 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე და თ.მებურიშვილი.

სულ: 2 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ნიშნიანიძე და შ.მშვილდაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი გ.სვანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ .

სხდომაზე, საკრებულოს წევრთა მიერ გაკეთდა **განცხადებები**: „მოგესალმებით კოლეგებო. მივესალმები აღმასრულებელ ხელისუფლებას. მინდა მადლობა გადავუხადო პრემიერ - მინისტრსა და მთავრობას, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი ახალგაზრდების სწავლის დაფინანსების გამო. ეს განსკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „მინდა, ბატონი გიორგის პათოსს შევუერთდე და პრემიერს, მთელს გუნდს, განათლების მინისტრს დიდი მადლობა გადავუხადო ბაზარზე ორიენტირებული განათლების გამო. შეისწავლეს ბაზარი, თუ რომელი პროფესიებია მოთხოვნადი და ის მიმართულებები დააფინანსეს. ჩათვალეთ, რომ ეს, მომავალში, პრაქტიკულად აღმოფხვრის უმუშევრობას საქართველოში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ჯემალი ბიბილეიშვილი:** „მინდა მივულოცო მერიის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს. ის გახდა 2025 წლის ყველაზე წარმატებული მრჩეველთა საბჭო. საბჭოს 10 წევრს გაცვლითი პროგრამით დააფინანსებს განათლების სამინისტრო. ჩვენს ახალგაზრდებს მინდა ვუსურვო წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო), ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „მოგესალმებით ყველას. მასწავლებელი გახლავართ და თავს უფლებას მივცემ, ეგრეთ წოდებულ რეფორმაზე ჩემი აზრი მოგახსენოთ. მისასალმებელია, როცა ხელისუფლება დადებით ნაბიჯებს დგამს. ერთის მხრივ, ეს შესაძლებელია ვიღაცაში იწვევდეს დადებით ემოციას და მისასალმებელია, ეს უფასო სწავლება. მესმის, რომ განცდებია ჩვენს საზოგადოებაში სასკოლო ფორმებთან დაკავშირებით, თუმცა აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ წარმატებული ქვეყნები, სადაც ფორმები არ არის და სადაც -არის, მაგრამ არსებითი აქ სულ სხვა რამაა. მეცნიერული აზრი თავისუფალია პოლიტიკური და თუნდაც რელიგიური გავლენისგან. ეს გახლავთ პროგრესის წინა პირობა. აქ ხართ ადამიანები, რომლებიც ასწავლით. ისტორიკოსებს მოგეხსენებათ, რომ პროგრესმა ცოდნაში განაპირობა ის, რასაც დღეს კაცობრიობა და საზოგადოება წარმოადგენს. საზოგადოებრივი ფასეულობები, თავისუფალი სასამართლო და განათლებაში ავტონომიურობა, შუა საუკუნეებში დაიწყო დასავლეთში, რომლის ლანძღვითაც თქვენ ხართ დაკავებული და ეს გახდა

განმსაზღვრელი, ვყოფილიყავით იქ, სადაც ვართ დღეს. აქ საუბარია საკმაოდ უცნაურ თარგზე. ძალიან გამიხარდება ხელისუფლება 800 მილიონიან ინვესტირებას თუ გააკეთებს, რომლის შესახებაც განცხადება გაკეთდა და ეს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტურ ქალაქებზე დასახარჯი თანხა გახლავთ. აქ ჩემი კოლეგები არიან, სკოლის დირექტორები, მრავალწლიანი გამოცდილებით. სასწავლო გეგმა არის მნიშვნელოვანი, რომლის შესახებაც არაფერი მომისმენია. როგორ მოხდება ის, რომ მე-12 კლასის არარსებობის შემთხვევაში, მე-11 კლასში უკვე რეპეტიტორიუმი იქმნება. საშუალო საფეხური დავა 3 წლიდან 2 წელზე. როცა ხელისუფლება აკეთებს განაცხადს, რომ ფუნდამენტური საგნების დაფარვა გაძლიერდება. რა დაფარვაზეა საუბარი, სკოლაში ყველა ხომ დავდიოდით და მგონი ყველამ ვიცით, რომ სწავლის პროცესში საჭიროა ინტენსივობა. სხვა საკითხია, როდესაც 2 გაკვეთილს გიტარებენ კვირაში კონკრეტულ საგანში და სხვა არის, როდესაც 5-6 გაკვეთილზე შედიხარ. ასეთი სპეციფიური ფიზიკა -მათემატიკის სკოლა გვაქვს. როგორ ჩავატევთ 3 წლიან გეგმას, მიზნებს ერთ წელიწადში, საინტერესოა. შეიძლება, რაღაც კარგი იყოს. უნივერსიტეტების ავტონომიას, ყველაზე ღირებულს განათლებისთვის, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებები პირდაპირ ურტყამს და აწესებს უხეშ კონტროლს განათლების სისტემაზე. „ქართული ოცნებისათვის" დამახასიათებელი პოპულიზმის ნაზავია განათლების ეს რეფორმა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მივესალმები ჩემს კოლეგებს, ბატონო ალექსანდრე, ბოლომდე მაინც ვერ გავიგე რას უწუნებთ თქვენ განათლების რეფორმას. რაც არ არსებულია, ის თემები წამოწიეთ. მე-11 კლასს ვინც დაასრულებს, აიღებს ატესტატს, თუ სურვილი ექნება, დაამთავრებს მე-12 კლასს. თქვენ აქ ხართ შემოსული იმ თემის აბსურდული კრიტიკით, რომელსაც მთელი მოსახლეობა მიესალმება. თქვენი აზრით, რა მონოპოლიზაციას აწესებს სახელმწიფო უნივერსიტეტებზე ან რომელი სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამორჩება კერძო უნივერსიტეტს, დამისახელეთ. ის, ვინც ჩააბარებს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სრულიად უფასოდ

ისწავლის. ბევრს ხომ არ აქვს ამაზე წვდომა და ეს არის შვება მოსახლეობისათვის და ახალგაზრდობისათვის. ის, რომ განათლება უფასო გახდა, ის რომ, წიგნები უფასოდ რიგდება, აღმზრდელობითი დაწესებულებები, რომ უფასო გახდა, ეს „ქართული ოცნების" დამსახურებაა. წინა ხელისუფლების დროს ეს ყველაფერი ფასიანი იყო. სახელმძღვანელოები, რომ გასაუმჯობესებელია, ალბათ, ამაზე ყველანი ვთანხმდებით, ის, რომ ბაზარზე გაკეთდა კვლევა, ის რომ ფაკულტეტები შეირჩა, ის რომ შიდა მიგრაციას არ შევუწყოთ ხელი, ეს რატომ არის მიუღებელი. კრიტიკა შეიძლება მისაღები იყოს, რადგან რეფორმა თანდათან ვითარდება და იხვეწება. მეორე საკითხი, რა ევროპის ლანძღვაზე ვართ გადასული ბატონო ალექსანდრე, ევროპას ჩვენ არ ვლანძღავთ, ევრო ბიუროკრატებს და ევრო საბჭოს, რომელმაც რეზოლუციები დაგვიწესა და სააკაშვილს პოლიტპატიმარი უწოდა, კრიტიკულად ვცემთ პასუხებს მათ. მე მგონი, ამის უფლება აქვს საქართველოს უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას. ამათ ნამდვილად ვერ დავუკრავთ ტაშს და ვერც ერთის ასკინკილაზე ვერ ვივლით. ვერც ერთის მონა ვერ გავხდებით. არ ვიწონებთ კორუფციაში ჩაფლულ ევროსაბჭოს ბიუროკრატებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „არ შემიძლია ჩემი სათქმელი არ გითხრათ, სად ვართ ჩვენ, მე აგიხელთ თვალს და გეტყვით სად ვართ, სადაა საქართველო დღესდღეობით. ყველამ კარგად იცით, რა ხდება მსოფლიოში, გინდ რეგიონში, გინდ რეგიონის გარეთ, ყველგან არის ომი. ევროპა პირდაპირ ჩართულია ომში, უკრაინა - რუსეთის ომში. ევროპა ამარაგებს უკრაინას და უწყობს ხელს, ეს ომი გაგრძელდეს. ეს პირველი: სად ვართ ჩვენ. ესაა ყველაზე მთავარი. თუ გვინდა ქვეყანა განვითარდეს, უნდა იყოს მშვიდობა ქვეყანაში. არ უნდა ვფიქრობდეთ, სად უნდა ვიშოვოთ პურის ფული და საერთოდ, ვიყიდით თუ არა დღეს პურს. დღეს თუ მოუსმინეთ ტელე „იმედს" (მაგრამ თქვენ ამ არხს არ უყურებთ ალბათ, ბატონო ალექსანდრე), ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტმა 35 მილიარდს გადააჭარბა. თქვენ რას ფიქრობთ, საიდან? პირდაპირ გეტყვით, ეს თანხები არ არის მოქალაქეებისათვის

ჩამორთმეული ქონებიდან, ბანკების მიერ გაყიდული სახლებიდან ამოღებული თანხა. ეს არის პირდაპირი ინვესტიციები ქვეყანაში ჩადებული, საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციიდან მიღებული ფინანსები. ეს არის პასუხი იმაზე, თუ სად ვართ ჩვენ და ეს 35 მილიარდი მოხმარდება ჩვენს ქვეყანას. არ მოხმარდება ყოფილ პრეზიდენტებს, მინისტრებს, მათ მასაჟებს, გარდერობებს. ეს მოხმარდება ჩვენს ხალხს. დაგიკონკრეტებთ, ეს თანხა წავა ჯანდაცვაში. ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ჩარეცხილი ფული, რომ უწოდა ონკო პაციენტებისათვის განსაზღვრულ თანხას, აი, იმ მიმართულებით წავა. დღესდღეობით, ჯანდაცვა ბევრს აკეთებს ონკო პროგრამების მიმართულებით. პირადად მე გამოვცადე, ჩემი დისშვილის შემთხვევაში, თუ რას აკეთებს ჩვენი ჯანდაცვა ამ პრობლემის დადგომისას. ეს თანხები მოხმარდება განათლებას. კარგი განათლება ქვეყნის მომავალია. ეს პროექტია ზუსტად უფასო განათლება და ხელმისაწვდომობა. ეს არის უპრეცედენტო რეფორმა. ევროპაც კარგია, ყველა ქვეყანა კარგია, მაგრამ პრიორიტეტში უნდა გვქონდეს ჩვენი ქვეყანა. საქართველო დღემდე მოვიდა მართლმადიდებლური ეკლესიის დახმარებით, განათლებით, წინაპრების თავგანწირვით და დღეს თუკი ვართ ქვეყანა, ესაა მართლმადიდებლობისა და რწმენის დიდი დამსახურება. ეს არის სიმბიოზი ეკლესიისა და სახელმწიფოსი და დღეს ზუსტად იმ სიმბიოზისკენ მივდივართ ჩვენ. ერთი აზრი აქვს დღეს ჩვენს მმართველ გუნდს და დედა ეკლესიას ევროპისგან განსხვავებით. ის რომ, ქართული ოჯახი, რაც სიწმინდეა და ყველაზე მეტი ფასეულია, არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, ეს არის კონსტიტუციაში გაწერილი. ქართული ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ოჯახი და არა ერთსქესიანთა ურთიერთობა, რასაც ქადაგებს ევროპა. ფუნდამენტალურ რაღაცეებში არის სხვაობა და ეს ფუნდამენტი ჩადებულია დედა ეკლესიის მიერ. ამიტომ, დავაფასოთ ის მიღწევები, რაც 2014 წლიდან დღემდე გვაქვს. ძალიან ბევრი მიღწევაა ყველა სფეროში და ეს განათლების რეფორმა ემსახურება იმას, რომ შემცირდეს უმუშევრობა ქვეყანაში. სხვადასხვა უწყებამ შეისწავლა ბაზარი ქვეყანაში, რა მიმართულებით გვაქვს დეფიციტი პროფესიებში. ჩვენს მოქალაქეებს მიეცემათ

შესაძლებლობა სწავლა გააგრძელონ იმ მიმართულებით, რომელიც მოთხოვნადია და ხვალ, ზეგ მას ემიგრაციაში წასვლა აღარ მოუწევს. დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს პრემიერს, პარლამენტს, ჩვენს გუნდს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება"), ბატონი **მიხეილ გიორგაძე:** „მე მინდა წმინდა პროფესიული შეფასება გავაკეთო. სამი რამ გამოიკვეთა. ბატონო ალექსანდრე, თქვენ ძალიან კარგად იცით, წლების განმავლობაში რა მდგომარეობაა სახელმძღვანელოებთან მიმართებაში. სახელმძღვანელოების შეცვლა საჭიროცაა და აუცილებელიც. მეორე, შეგახსენებთ, ეროვნული სასწავლო გეგმა, რა თქმა უნდა, უპირველესია, მაგრამ ის დამუშავების პროცესშია და შეიცვლება და მესამე, რაც შეეხება მე-11 კლასის თემას, ამაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ცვლილება მოხდება. მე-10, მე-11 კლასი იქნება გათვალისწინებული, რომ მოსწავლე მოემზადოს. დაბოლოს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და პროფესიულ ზრდაზეც მიდის საუბარი. ავტონომიურობაზე თუ არის საუბარი, გვეკითხებიან სკოლებს, რომ რა როგორ გავაკეთოთ. ხშირია შეხვედრები და წყდება ყველაფერი სამინისტროდან. ეს ყველაფერი მოსახლეობამ უნდა გაითვალისწინოს. ადამიანს შეუძლია, ქოთანს ყური ისე მოაბას, როგორც აწყობს. შრომა ერთია და დანახვა - მეორე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება"), ქალბატონი **სალომე სარალიძე:** „მოგესალმებით, ბატონო ალექსანდრე. თქვენ აქ ეროვნული სასწავლო გეგმა გააჟღერეთ, სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილია. მაგას სკოლები ვერ გაგვიკეთებს. ეროვნული გეგმაც დამუშავების პროცესშია. საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობს განხილვები. არის გუნდი, იმ გუნდში ისმის დადებითი პოზიციაც, უარყოფითიც, საბოლოო ვერსიებზე ჯერდებიან. ერთად ვთანხმდებით, რომ ყველაფერი დისციპლინიდან გამომდინარეობს. ყველა დადებითად შეხვდა ფორმის ტარებას, სახელმძღვანელოების ცვლილებას. საპილოტე რეჟიმში მე-11, მე-12 კლასებში

განხორციელებას, არავის არჩევანი არ შეუზღუდავს. დემოკარატიაა სრული. ვისაც სურს მე-12 კლასი და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, სახელმწიფო ამის შესაძლებლობას აძლევს. ეროვნული სასწავლო გეგმა ფაქტობრივად მზად არის, პარლამენტში მიმდინარეობს მისი განხილვა და წარმომადგენლობითი დელეგაცია წავა ქუთაისიდან, სასკოლო საზოგადოებაც მიიღებს მონაწილეობას. მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო სამინისტროს. ეს რეფორმა არის პროფესიონალის გაკეთებული, რომელმაც სკოლა იცის ძალიან კარგად. მარტო წიგნებიდან არ არის გადმოწერილი. ბორჯომში იყო შეხვედრა. ისეთი ნიუანსებია გაწერილი, აბსოლუტურად მთელი პროგრამა, ისე ლაკონურად არის გაწერილი, მე როგორც ქიმია - ბიოლოგიის მასწავლებელს, ძალიან მომეწონა. უფასო სწავლებასთან დაკავშირებით ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ამის არ დანახვა არ შეიძლება. რელიგიასთან მიმართებაში იყო საუბარი, 60 სკოლაა საქართველოში შერჩეული, დაახლოებით 50 სკოლაშია შესული სამხედრო სწავლება, როგორც ეროვნული სულისკვეთება თავდაცვის კუთხით. ეს რეფორმა იმ ადამიანების გაკეთებულია, რომელმაც სკოლა კარგად იცის. მადლობა ამისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ლაშა გვენეტაძე:** „მოგესალმებით. მადლობა ქალბატონო სალომე, მადლობა ბატონო ბატონო მიხეილ ასეთი კომპეტენტური შეფასებისათვის. მე უფრო მინდა გამოვეხმაურო ბატონი დიტო მხეიძის ნათქვამს. ალბათ ხელისუფლების „ბრალიც" არის ის, რომ ისე გააპიარა ქვეყანაში ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება. ძალიან ბევრ მოქალაქეს „ჩაუჯდა" გონებაში წარადგინოს ქონებრივი დეკლარაცია. წელს იყო ბევრი მოქალაქე, რამდენიმემ დამირეკა ურიგოდ თუ მიგვიღებენო, იმდენი ადამიანი იყო მოსული უწყებაში, ვისაც წლიური შემოსავალი 40 ათას ლარზე მეტი აქვს, დეკლარაციას ავსებს და ესეც მეტყველებს ქვეყნის წინსვლასა და ხალხის კმაყოფაზე, სოციალურ ფონზე და მგონი, სწორად მივდივართ, კარგად მივდივართ. ამას დანახვა ჭირდება, ფეხის აწყობა და თავისი წილი აგურის დადება

თავისი პროფესიით, როგორც იტყვიან: „მეპურემ პური უნდა აცხოსო“. ყველამ ჩვენი საქმე, რომ ვაკეთოთ ჩვენს ქალაქში მეტად წავალთ წინ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო), ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „ჩემი განცხადების შემდეგ დაახლოებით 6-7-მა ადამიანმა გააკეთა განცხადება და სრულიად უსაფუძვლო პრეტენზიები მოვისმინე ჩემს მიმართ. 25 წელია მინიმუმ, სკოლაში ვმუშაობ და როდესაც საკითხს წარმოვადგენ, აქ ვეყრდნობი პროფესიონალიზმს, საკუთარ გამოცდილებას, სფეროში მყოფ ადამიანებს, რომლებიც ათწლეულებია განათლების სფეროს ემსახურებიან. რეფორმა არის რეფორმა, რომელიც მინიმუმ რაღაც 10-12 წლიან პერიოდს მოიცავს. ამაზე აღტკინება არ მგონია სწორი იყოს. მერე მეორე, საერთოდ არ შევხებივარ ნეგატიურ კონტექსტში უფასო სწავლებას. არის ქვეყნები, მათ შორის ხშირად ნახსენები ევროპული ქვეყნები: გერმანია, ავსტრია და ასე შემდეგ, სადაც სწავლება არის უფასო. ზოგადი განათლება უფასო იყო ყოველთვის. მე მომეცა შესაძლებლობა, ამ პერიოდის განმავლობაში გავცნობოდი იმ ადამიანების მოსაზრებებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ, ამონარიდებიც შემიძლია მოგიტანოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ანუ ეთანხმებით, უმაღლესი განათლება უფასო იყოს ჩვენი ბავშვებისათვის. ძალიან კარგი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო) , ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „თქვენ სოციალურ თანასწორობაზე გააკეთეთ აქცენტი, ამ კონტექსტში წარმოადგენთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „არანაირ კონტექსტში არ წარმოვადგენთ. მე ვამბობ ფაქტს, რომელიც მოხდა და რომელიც არის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი. იმასაც დამეთანხმებით, რომ განათლება არის სახელმწიფოს

წარმატებისათვის მნიშვნელოვანი. მიესალმეთ თქვენც და მადლობა გადაუხადეთ ხელისუფლებას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო), ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „ერთადერთი თქვენი პოლიტიკური გუნდია, რომელიც თვლის, რომ ყველაფერში ლეგიტიმურია."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ყველაზე მთავარი ჩვენი ხალხია ბატონო ალექსანდრე და არა პოლიტიკური გუნდი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო) , ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „ხალხის ნდობა თქვენ იმ პროცენტულობით და მოცემულობით არ გაქვთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „რატომ არ გვაქვს, იმას ვერ იტყვით, რომ ვიღაცამ რაღაც გააყალბა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო) , ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „აქციების დაშლისას შსს-ს მიმართ, როდესაც საუბარია მართლწესრიგზე, მაგრამ რეალურად საუბარია ადამიანების წინაშე ჩადენილ დანაშაულზე. არჩევნებზე, საერთაშორისო მონიტორინგზე იყო საუბარი და ქვა ააგდეთ და თავი შეუშვირეთ, არავინ ჩართეთ, რომ ეს ამბავი გადამოწმებულიყო. უმძიმესი პერიოდია. თქვენ ტელევიზორს ხომ უყურებთ. შინაგან საქმეთა მინისტრი გამოვიდა, სხვა რაღაც თქვა, პრემიერ - მინისტრმა - სხვა. საერთაშორისო გამოძიებაზე იყო საუბარი და თითქოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გაასაჩივრებენ. საერთაშორისო თქვენ არაფერი გინდათ, გამოძიება მით უმეტეს, ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაციით. თქვენ ყველა საერთაშორისო აქტორთან გაწყვიტეთ კავშირი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „მაგ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარეობს გამოძიება, გამოჩნდა ყველაფერი რეალურად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ძალიან არ მიყვარს კოლეგებთან პოლემიკაში შესვლა, პირდაპირ გეტყვით ერთს, პოპულისტურია განცხადებები, რაც თქვენ გააკეთეთ. ის სისულელე, რაც „ბბს-ის" მიაწოდეს შიდა აგენტებმა, გარე აგენტების დავალებით და მერე თვითონ უარყვეს. ამ თემებზე ასე თამამად ნუ ლაპარაკობთ მოქალაქეებთან. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ხართ ძალიან კარგი ქართველი. არა მგონია, რასაც თქვენ ამბობთ, ვინმემ დადებითად შეაფასოს. ეს ყველაფერი მიმართული იყო ქვეყნის არევისათვის. ვინ მუშაობდა იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის იმიჯი დაეზიანებინა, როგორც აქ, ისე ქვეყნის გარეთ გამოვლინდება ყველა და ყველაფერი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „რა ხელისუფლებაში მოსვლაზე საუბრობთ. თქვენ საკრებულოში მოხვედით სხვა პოლიტიკური ძალით და დღეს უპარტიო წევრი ხართ. მივყვეთ საკრებულოს დღის წესრიგს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „რაღაც მინდა ვკითხო ბატონ ალეკოს. 2012 წლამდე მოქმედი პედაგოგი, ვინც არ უნდა ყოფილიყო „ნაცების" დროს, ერთ სიტყვას თუ იტყოდა და გაბედავდა ხელისუფლებაზე უარყოფითს. ძალიან კარგად ისარგებლა ოპოზიციამ ჩვენი მოტანილი დემოკრატიით. დაწყნარდით და გაიხსენეთ უახლოესი ისტორია. დააფასეთ ის, რაც გაქვთ დღეს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო), ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „ქალბატონი მარეხი, როგორც ვხვდები, აქ არსებითობასა და მნიშვნელობაზეა საუბარი. საუბარი იქითკენ თუ მიდის, ვიყავი თუ არა ხმის ამომღები, თქვენი გუნდი თქვენს ლიდერს დაეკითხეთ, მე სად ვიყავი და როგორ ვიყავი.

დაგიდასტურებთ ის. თქვენ გააკეთეთ წინა სხდომის შემდეგ განცხადება. ეს განცხადება აქ მაქვს შენახული. დღის წესრიგით გათვალისწინებული გახლდათ ახალი ფრაქციის შექმნა. სხდომის შემდეგ ჩემს პრეტენზიას, რომელსაც ბატონმა მხეიძემ საფუძველსმოკლებული უწოდა, თქვენ მიეცით ასეთი შეფასება, რა პრობლემაა, არსებობს ორგანული კანონი, ამ კანონით დეპუტატებს ქუთაისის საკრებულოში შეუძლიათ დატოვონ თავიანთი პოლიტიკური პარტიები და შექმნან ფრაქცია. აქ იურისტები არიან, დააკონკრეტეთ, რომელ კანონზეა საუბარი, რომელიც გვეუბნება, რომ პარტიების წარმომადგენლებმა, უნდა დატოვონ საკუთარი პარტიები და ფრაქციები უნდა შექმნან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭილვარია: „ვერ გავიგე რას ემსახურება თქვენი შეკითხვა, რადგან იმ პარტიიდან წამოდით პირველივე დღესვე, რომელმაც მოგიყვანათ აქ, ახლა ეძებთ ახალ პარტიას, რომ რაღაც ქულები დაიწეროთ, იხმაუროთ და მერე რომელიმემ წაგიყვანოთ. წარმატებებს გისურვებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი:** „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165-ე პრიმა მუხლს გაეცანით. იქ ამოიკითხავთ, რომ შეიძლება, ოღონდ ერთი პოლიტიკური პლატფორმით მინიმუმ სამი სუბიექტი უნდა იყოს შემოსული საკრებულოში, ანუ სამ დეპუტატს შეუძლია ფრაქციის შექმნა. თქვენ თქვენი პოლიტიკური პარტიიდან ერთი წევრი ხართ საკრებულოში."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ"**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭილვარიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

8. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი გიორგი ჭიღვარია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ჯემალ ბიბილეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ჭიღვარიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ** გააკეთა **განმარტება:** „მოგეხსენათ, რომ საკრებულოში შეიქმნა ახალი ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები", რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების", საკრებულოს კომისიების შემადგენლობებსა და პროპორციული წარმომადგენლობების კვოტებში. საკრებულოს დღევანდელ სხდომაზე ცვლილება უნდა შევიტანოთ „საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" დაფუძნების შესახებ" საკრებულოს 2025 წლის 30 მოქტომბრის განკარგულებაში; უნდა დარეგისტრირდეს ახალადშექმნილი ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები"; ცნობად უნდა მივიღოთ საკრებულოს ბიუროს მ/წლის 8 დეკემბრის მე-4 სხდომის გადაწყვეტილება „საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ," აგრეთვე, საკრებულოს კომისიებში განხორციელებული ცვლილებები. გთავაზობთ, რომ თავდაპირველად განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი სამი საკითხი, შემდეგ,

გამოვაცხადოთ შესვენება, რათა ახლადდარეგისტირებულმა ფრაქციამ შეძლოს სხდომის ჩატარება და შესაბამისი გადაწვეტილების მიღება საკრებულოს კომისიებში წევრთა წარდგენის შესახებ. ფრაქცია შესაბამის დოკუმენტაციას გადასცემს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას, რომელიც შესვენების პერიოდში, თავის სხდომაზე განიხილავს როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების" მიერ, კომისიების შემადგენლობებში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე, ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების" მიერ წარდგენილ მასალებს. შეამოწმებს ფრაქციების მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას საკრებულოს მიერ დამტკიცებულ კვოტებთან, შეადგენს დასკვნას და წარუდგენს ბიუროს მე-5 სხდომას, რომელსაც ასევე, შესვენების პერიოდში ჩავატარებთ. ბიუროს სხდომა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ცნობად მიიღებს კომისიების შემადგენლობებში შეტანილ ცვლილებებს. ამის შემდეგ გავაგრძელებთ საკრებულოს სხდომას და ბიუროს სხომის გადაწყვეტილებების საფუძველზე განვიხილავთ მე-4 - მე-8 საკითხებს, რომლებიც საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში შესატან ცვლილებებს შეეხება."

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **პირველ** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე და თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 2-მა წევრმა, ე.არჩაიამ, ალ.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №42** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-2** საკითხის-**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (უპარტიო), ბატონი **ალექსანდრე მიქაუტაძე:** „წინა სხდომაზე ახალი ფრაქციის შექმნაზე იყო საუბარი. მინდა ვკითხო საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, რა უჯდება ფრაქცია ქალაქის ბიუჯეტს? მეტი სიცხადისათვის, ჩვენმა მოქალაქეებმა, რომ იცოდნენ ფრაქციის ხელმძღვანელისა და მოადგილის თანამდებობრივი სარგო როგორაა გათვლილი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ჭიღვარია: „ქვეყანაში გვაქვს დემოკრატია. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საფინანსო სამსახურს, გაიგებთ. რეალურად სამმა ადამიანმა, ერთ პოლიტიკურ პარტიაში მყოფმა, გადაწყვიტეს შეექმნათ ფრაქცია. თქვენც თუ მოძებნით ორ ადამიანს და იმ პარტიას, რომელსაც ვერ ნახულობთ, თქვენც შეძლებთ შექმნათ ფრაქცია. ალბათ, თქვენ ამის წუხილი გაქვთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „რომ გქონდეთ საშუალება, არ შექმნიდით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბესიკ ჩეჩელაშვილი:** „გიპასუხებთ ბატონო ალექსანდრე, უახლოეს დღეებში შევიკრიბებით კომისიის სხდომაზე, დეტალურად მოგვმართეთ კითხვებით, რა გაინტერესებთ, რა დაფინანსებაზე გაქვთ საუბარი. ყველა კითხვაზე პასუხს დეტალურად მოგაწვდით. ვისარგებლებ შესაძლებლობით და მადლობას გადავუხდი ჩვენს პრემიერსა და განათლების მინისტრს რეფორმისათვის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ჯემალ ბიბილეიშვილი:** „ბატონო ალექსანდრე, საჯაროა ეს ინფორმაცია, საკანონმდებლო მაცნეშია გამოქვეყნებული და შეგიძლიათ გაეცნოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი, ბატონი ალ.მიქაუტაძე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 1-მა წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების" დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ" **განკარგულება №43** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-3** საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მესამე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 2-მა წევრმა, ე.არჩაიამ და ალ.მიქაუტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მესამე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე“**განკარგულება №44** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომის დღის წესრიგის მე-3 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ** გამოცხადდა **შესვენება** 30 წუთით.

შესვენების პერიოდში, ჩატარდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომები.

შესვენების დასრულების შემდეგ, საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომამ მუშაობა გააგრძელა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-4** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, შ.ჯიშკარიანი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ალ.მიქაუტაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის

გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №45** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-5** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, შ.ჯიშკარიანი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **განკარგულება №46** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-6** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის

პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, შ.ჯიშკარიანი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**განკარგულება №47** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-7 საკითხის-„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, შ.ჯიშკარიანი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეშვიდე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**განკარგულება №48** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის **მე-8** საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

2025 წლის 30 ოქტომბრის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ჯემალ ბიბილეიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ დღის წესრიგის **მერვე** საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, შ.ჯიშკარიანი, მ.სინაურიძე, თ.მებურიშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მერვე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **ჯემალ ბიბილეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 10 დეკემბრის მე-5 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №49** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ჭიღვარიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

მეორე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეორე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.